ქართული ენერგეტიკა დასავლური მხარდაჭერის გარეშე:

გზა რუსეთზე დამოკიდებულებისკენ



2025

თბილისი

სარჩევი

აბრევიატურების ნუსხა 2

**ქართული ენერგეტიკა დასავლური მხარდაჭერის გარეშე:
გზა რუსეთზე დამოკიდებულებისკენ 3**

სახელმწიფოს მიერ მიღებული გრანტები და კრედიტები 6

ენერგეტიკა 9

ელექტროენერგიის ადგილობრივი წარმოება 10

ახალი ენერგეტიკული ობიექტები რეგიონებში 13

სტრატეგიული ინფრასტრუქტურული პროექტები 14

ენგურჰესისა და ვარდნილჰესის რეაბილიტაცია 14

შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტი 16

შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი..... 17

საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის განვითარების პროექტი 19

1. წყალტუბო-ახალციხის თორთუმის ქსელთან მიერთების პროექტი 20

2. ჩრდილოეთის რგოლი, ნამახვანი-წყალტუბო-ლაჯანურის პროექტი 20

3. გურიის რეგიონში ელექტროგადამცემი
ინფრასტრუქტურის გაძლიერების პროექტი 21

4. კახეთის რეგიონში ინფრასტრუქტურის გაძლიერება 21

დასკვნა 22

აბრევიატურების ნუსხა

ADB	აზიის განვითარების ბანკი
AFD	საფრანგეთის განვითარების სააგენტო
AIIB	აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი
E5P	აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობის და გარემოსდაცვითი თანამშრომლობის რეგიონული ფონდი
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
EC	ევროკომისია
EIB	ევროპის საინვესტიციო ბანკი
ENIP	ელექტროგადამცემი ქსელის განვითარების პროექტი
EU	ევროკავშირი
EU NIP	ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო პლატფორმა
IBRD	რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი
IMF	საერთაშორისო სავალუტო ფონდი
KfW	გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი
MCC	ათასწლეულების გამოწვევის კორპორაცია
USAID	ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
WB	მსოფლიო ბანკი

ქართული ენერგეტიკა დასავლური მხარდაჭერის გარეშე:

გზა რუსეთზე დამოკიდებულებისკენ

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქართული სახელმწიფოს ურყევ ეროვნულ ინტერესს წარმოადგენდა ევროპულ და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში გაწევრიანება. 1991 წლიდან მოყოლებული, სწორედ ევროპელი პარტნიორების მხარდაჭერით დადგა ფეხზე, განამტკიცა სახელმწიფოებრიობა და განავითარა სახელმწიფო ინსტიტუტები.

ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია დამოუკიდებლობის სამი ათწლეულის მანძილზე ქვეყნის უმთავრესი საგარეო პოლიტიკური ამოცანა იყო, როგორც სუვერენიტეტის განმტკიცების, კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და შიდა თუ გარე ტირანიისგან სამშობლოს დაცვის უალტერნატივო არჩევანი. ამ გზაზე, საქართველო ევროკავშირის სამეზობლოში ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა იყო, რის გამოც, ევროკავშირთან ურთიერთობებში არაერთი პრივილეგიით სარგებლობდა - უვიზო მიმოსვლის რეჟიმი, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, პრეფერენციული კრედიტები და გრანტები, და სხვა.

მასობრივი საპროტესტო გამოსვლებისა და საზოგადოების დიდი ზეწოლის შედეგად, „ქართულმა ოცნებამ“ 2022 წლის 3 მარტს ევროკავშირში გაწევრიანებაზე განაცხადი შეიტანა. 2022 წლის ივნისის გადაწყვეტილებით, ევროკომისიამ, კანდიდატის სტატუსის მინიჭების ნაცვლად, საქართველოს შესახებ 12 პუნქტიანი რეკომენდაციების დოკუმენტი და ევროპული პერსპექტივის მინიჭების გადაწყვეტილება მიიღო (იხ. ევროპული საბჭოს დასკვნა). ამავდროულად, ევროკომისიის გადაწყვეტილებით, უკრაინა და მოლდოვა ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნები გახდნენ.

ევროპული საბჭოს დასკვნა. 2022 წლის 24 ივნისი:

„ევროპული საბჭო აღიარებს უკრაინის, მოლდოვის რესპუბლიკისა და საქართველოს ევროპულ პერსპექტივას. ამ ქვეყნებისა და მათი მოქალაქეების მომავალი ევროკავშირშია.“

„ევროპული საბჭო მზადაა კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიანიჭოს საქართველოს მას შემდეგ, რაც შესრულდება საქართველოს განაცხადთან დაკავშირებით ევროკომისიის მოსაზრებაში დასახელებული პრიორიტეტები.“

უდიდესი საგარეო გამოწვევების ფონზე და ქართველი ხალხის უწყვეტი ბრძოლის შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ აღნიშნული 12 მოთხოვნიდან სრულყოფილად მხოლოდ 3 დააკმაყოფილა, 2023 წლის 8 ნოემბერს, ევროკომისიამ, დანარჩენი 9 პუნქტის შესრულების პირობით, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა. 2023 წლის 14 დეკემბერს, საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა გახდა.

ამ ისტორიული შესაძლებლობის მიუხედავად, ივანიშვილის ხელისუფლებამ ქვეყნის პროევროპული საგარეო პოლიტიკური კურსი შეცვალა და საქართველო სრულ იზოლაციაში მოაქცია. კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ ქვეყანა ევროკავშირთან დაახლოების საპირისპიროდ მრავლობითი სანქციების, გაყინული დახმარების პროგრამებისა და შეჩერებული მოლაპარაკებების მდგომარეობაშია. ივანიშვილის რეჟიმმა საქართველოს ამ ეტაპისთვის, არა მხოლოდ ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა, არამედ დემოკრატიული განვითარების შესაძლებლობა წაართვა.

ანტიდასავლური ვექტორის ფორმალიზება კი, 2024 წლის 28 ნოემბერს, გაყალბებული საპარლამენტო არჩევნებიდან 1 თვის შემდეგ მოხდა, როდესაც „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ საჯაროდ განაცხადა, რომ ივანიშვილის მთავრობა ევროკავშირთან მოლაპარაკებებს აჩერებს და უარს ამბობს „ყოველგვარ საბიუჯეტო გრანტზე ევროკავშირის მხრიდან“.

> “მივიღეთ გადაწყვეტილება, 2028 წლის ბოლომდე დღის წესრიგში არ დავაყენოთ ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის საკითხი. ასევე, 2028 წლის ბოლომდე უარს ვამბობთ ყოველგვარ საბიუჯეტო გრანტზე ევროკავშირის მხრიდან.”
>
> „ჩვენ ვაპირებთ არა მათხოვრობით და ცალ ფეხზე დგომით ევროკავშირში შესვლას, არამედ ევროკავშირში ღირსეულად გაწევრიანებას, გამართული დემოკრატიული სისტემითა და ძლიერი ეკონომიკით“.

ამ განცხადებით „ქართული ოცნება“ ცდილობს, დააკნინოს წლების განმავლობაში დასავლური ინსტიტუტების მიერ ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საგანმანათლებლო თუ ინფრასტრუქტურულ განვითარებაში შეტანილი წვლილი. სინამდვილეში, ევროკავშირის დაფინანსებაზე უარის თქმით, „ქართული ოცნება“ არა მხოლოდ ევროკავშირის პოლიტიკურ-ეკონომიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების პერსპექტივას ართმევს ქვეყანას, არამედ ევროპული სტანდარტების შესაბამისად განვითარების შესაძლებლობასაც.

აღნიშნულის სადემონსტარციოდ წინამდებარე კვლევაში წარმოგიდგენთ ევროკავშირისა და მასთან დაკავშირებული ფინანსური ინსტიტუტების მიერ საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობისათვის გაწეული დახმარების ანალიზს. კვლევა ეფუძნება 2013-2024[1] წლებში საქართველოს მიერ განხორციებული პროექტების რაოდენობრივ და თვისებრივ ანალიზს. დაელოდეთ ჩვენს ანალოგიურ კვლევებს სოფლის მეურნეობის, განათლებისა და სხვა მიმართულებების შესახებ.

1. კოალიცია და შემდეგ პარტია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი.

სახელმწიფოს მიერ მიღებული გრანტები და კრედიტები (2013-2024 წლები)

კვლევის ძირითადი მიგნებები:

2013-2024 წლებში, სახელმწიფო ბიუჯეტში (ბიუჯეტის კანონის მე-5 მუხლის მიხედვით) დასავლური ინსტიტუტების მიერ გაცემული გრანტების ოდენობა შეადგენს 3 მილიარდ 535 მილიონ 364 ათას ლარს[2] (იხ. **გრაფიკი N1**).

გრაფიკი #1 სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული გრანტები (მილიონი ლარი)



სახელმწიფო ბიუჯეტში გრანტების ოდენობამ პიკს მიაღწია 2017-2020 წლებში. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია 2020 წელი, როდესაც ევროკავშირმა საქართველოსთვის 279 მილიონი ლარის ოდენობის გრანტი გამოყო (იხ. **გრაფიკი #2**). თუმცა, ქართული ოცნების მზარდი ანტიდემოკრატიული მმართველობის კვალობაზე, აღნიშნული მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა:

2025 წლის დაგეგმილ სახელმწიფო ბიუჯეტში გრანტის ოდენობა შეადგენს 59 მილიონ 909 ათას ლარს, რაც 2013 წლის მაჩვენებელზე, დაახლოებით, 4-ჯერ ნაკლებია.

ხოლო ევროკავშირის გრანტები კიდევ უფრო დრამატულადაა შემცირებული და მხოლოდ 7 მილიონით შემოიფარგლება, რაც 2013 წლის მაჩვენებელზე 11-ჯერ ნაკლებია.

2. „ხაზინის ანგარიშზე აღრიცხული რეესტრის გრანტების (სხვადასხვა დონორი)“ მიხედვით, 2013-2023 წლებში საქართველოს მთავრობას „სხვადასხვა დონორისგან“ მიღებული აქვს 792 მილიონ 971 ათასი ლარის ოდენობის გრანტი, რაც მთლიანობაში მიღებული გრანტების 23.4 %-ს შეადგენს. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში აღნიშნული დონორების ვინაობა არ არის დაფიქსირებული.

გრაფიკი #2 სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული გრანტები წლების მიხედვით (მლნ ლარი)



2013-2024 წლებში დასავლური ინსტიტუტების მიერ გაცემული გრანტების 59 % ევროკავშირის მიერ არის უზრუნველყოფილი (იხ. **გრაფიკი #3**).

საქართველოსთვის გაცემული გრანტების ოდენობით, პირველ ხუთეულში შედიან ამერიკული კორპორაცია MCC(13%), USAID(13%), KfW(8%) და E5P(2%) (იხ. **გრაფიკი #3**)

გრაფიკი #3

2013-2024 წლებში გრანტის სახით მიღებული დაფინანსება დონორების მიხედვით (მილიონი ლარი).



2013-2024 წლებში, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული კრედიტების ოდენობა საერთო ჯამში 24 მილიარდ 138 მილიონ ლარს შეადგენდა.

საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს შორის საქართველოს ძირითად კრედიტორებს წარმოადგენენ: ADB, WB, EIB, EBRD, AIIB, IMF, EU, IFAD, CEB, NEFCO.
(იხ. **გრაფიკი #4**).

გრაფიკი #4: საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა.

კრედიტორი	**საპროგნოზო ნაშთი (31.12.2025) (მილიონი ლარი)**
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	6,268.86
მსოფლიო ბანკი (WB)	6,139.45
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	3,331.89
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	694.07
აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB)	591.30
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	397.88
ევროკავშირი (EU)	385.67
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	103.28
ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB)	40.42
სკანდინავიური გარემოს დაცვის საფინანსო კორპორაცია (NEFCO)	16.10

საერთო ჯამში, 2013-2024 წლებში სახელმწიფოს მიერ მიღებული გრანტებისა და კრედიტების მოცულობა 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დაგეგმილ საბიუჯეტო სახსრებს აღემატება (იხ. **გრაფიკი #5**) (მილიონი ლარი)



ენერგეტიკა

ენერგეტიკის სექტორი „ბნელი“ 90-იანების შემდეგ

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს ენერგეტიკული სექტორი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. 1990-იანი წლების სამოქალაქო ომისა და პოლიტიკური არასტაბილურობის შედეგად ქვეყნის ენერგოინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად დაზიანდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში, კრიტიკულ ენერგეტიკულ ობიექტებზე არაერთი თავდასხმა განხორციელდა (1993, 1995 და 2002 წლებში), რის შედეგადაც ქვეყნის ყველაზე დიდი ენერგოობიექტი, ენგურჰესი მწყობრიდან გამოვიდა.

ქვეყნის ენერგოსექტორის პარალიზება ბუნებრივად ზრდიდა სახელმწიფოს მეზობლებზე, დიდწილად კი რუსეთზე დამოკიდებულებას. თუმცა, მუდმივი კრიზისების გამო, მოსახლეობის დიდი ნაწილი არამსყიდველობითუნარიანი იყო, ხოლო პოლიტიკური ელიტა კორუმპირებული. შედეგად, ჩამოყალიბდა ე.წ. „ენერგო მაფია“, რომელიც იმპორტირებული ელექტროენერგიის რეექსპორტს ახდენდა. შედეგად, მოსახლეობას ელექტროენერგიაზე საათობით, ხშირად კი დღეების მანძილზე არ ჰქონდა წვდომა.

კრიზისის მიუხედავად, საქართველომ 1990-იანი წლების „სიბნელიდან“ გამოსვლა სწორედ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების დახმარებით შეძლო. მხოლოდ 1995-2000 წლებში, ენერგეტიკული ობიექტების რეაბილიტაციის მიზნით, საქართველომ გრანტების და შეღავათიანი კრედიტების სახით დაახლოებით 591 მილიონი აშშ დოლარი მიიღო. **დღეს, რომ ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობაზე ვსაუბრობთ, ეს სწორედ დასავლური ინსტიტუტების მიზნობრივი და სისტემური დახმარების შედეგია.** ამავდროულად, საერთაშორისო დონორები კვლავ აქტიურად აგრძელებენ ენერგეტიკის სექტორში მიმდინარე სტრატეგიული პროექტების დაფინანსებას.

ენერგეტიკის სექტორის განვითარებაში საქართველოს დასავლელი პარტნიორების მნიშვნელოვან როლზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, რომელიც 2013-2017 წლებში ცალკე სუბიექტის სახით არსებობდა, ძირითადად დასავლური გრანტებითა და კრედიტებით ფინანსდებოდა. კერძოდ,

> **2013-2017 წლებში საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ბიუჯეტის მხოლოდ 27.4 % იყო საბიუჯეტო სახსრებიდან**[3]. სხვა სიტყვებით, 2013-2017 წლებში, სამინისტროს ბიუჯეტში 544 მილიონი ლარი გრანტებისა და კრედიტების სახით შევიდა.
>
> 2018 წლიდან, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო გაერთიანდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან. აღნიშნული სამინისტროს საერთო ბიუჯეტის დაახლოებით 18 %-ს (იგივე 806 მილიონი ლარი) უცხოური გრანტები და კრედიტები შეადგენდა.

3. საბიუჯეტო სახსრები - საქართველოს მოსახლეობის მიერ ბიუჯეტში გადახდილი თანხები.

გრაფიკი #6 ელექტროენერგიის იმპორტი და რუსეთის პროცენტული წილი (2009-2024)



მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, დღეს საქართველოს ელექტროენერგიის ნაწილი მეზობელი ქვეყნებიდან: აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან და სომხეთიდან მიეწოდება. განსაკუთრებით სავალალოა ის ფაქტი, რომ ქვეყანა ელექტროენერგიის მნიშვნელოვან ნაწილს კვლავაც რუსეთიდან იღებს და ეს პროცესი, წინა წლებთან შედარებით, მზარდი ტენდენციით ხასიათდება (იხ. **გრაფიკი #6**). როგორც ზემოთ მოცემულ გრაფიკშია ნაჩვენები, 2021 წლის შემდეგ, რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის წილი მნიშვნელოვნად იზრდება. 2024 წელს, საქართველოში იმპორტირებული ელექტროენერგიის დაახლოებით 50 % რუსეთიდან შემოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მაჩვენებელი 90-იანი წლების დინამიკასთან შედარებით ნაკლებია, საქართველოს სტრატეგიულ ინტერესებში შედის რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების მინიმალიზება, რაც მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ელექტროენერგიის ადგილობრივი წარმოების ზრდასთან.

ელექტროენერგიის ადგილობრივი წარმოება

საქართველოში ელექტროენერგიაზე მოთხოვნის მნიშვნელოვან ნაწილს ადგილობრივი გენერაციის ობიექტები უზრუნველყოფენ. უფრო კონკრეტულად, ელექტროენერგიის დაახლოებით 70 % გამომუშავდება ჰიდროელექტროსადგურების, ხოლო 20% თბოელექტროსადგურების მიერ. 2020 წლის მონაცემებით, სულ ოპერირებს 98 ჰესი, დაახლოებით 3,550 კმ სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზები და 93 ქვესადგური.

ამ ჰესებს შორის, ელექტროენერგიის წარმოების წილით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტებია ენგურჰესი და ვარდნილჰესი (იხ. **გრაფიკი #7**), რომელთა რეაბილიტაციაც დასავლური დაფინანსებით განხორციელდა.

გრაფიკი #7: საქართველოს დიდი ჰესები.[4]

No	ჰესი	მდინარე	წყალსაცავი	სიმძლავრე მგვტ	რეგულირე-ბის ტიპი	ექსპლუატაციაში გაშვების წელი
1	ენგურჰესი	ენგური	ჯვრის, გალის	1,300	მარეგული-რებელი	1978
2	ვარდნილჰესი	ენგური		220	მარეგული-რებელი	1971
3	ვარციხეჰესი	რიონი, ყვირილა		184	სეზონური	1976-1977
4	შუახევი ჰესი	აჭარისწყალი		179	სეზონური	2017
5	ჟინვალჰესი	არაგვი	ჟინვალის	130	მარეგული-რებელი	1984
6	ლაჯანურჰესი	ლაჯანური, ცხენისწყალი	ლაჯანურის	113.7	სეზონური	1960
7	ხრამი 1	ხრამი	წალკის	113	მარეგული-რებელი	1947
8	ხრამი 2	ხრამი	წალკის	110	მარეგული-რებელი	1963
9	დარიალი	თერგი		108	სეზონური	2016
10	ფარავანჰესი	ფარავანი		87	სეზონური	2014

უდავო ფაქტია, რომ საქართველოში არსებული ძირითადი ენერგეტიკული ინფრა-სტრუქტურის სამშენებლო პროექტებში დაფინანსების მნიშვნელოვანი წილი სწორედ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და ევროპელი დონორების მიერ არის უზრუნველყოფილი. მათ შორის, საყურადღებოა, რომ ენგურის და ვარდნილის ჰესების რეაბილიტაციის პროექტი და ისევე როგორც, შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტი, სრულად დასავლური დაფინანსებით განხორციელდა (იხ. **გრაფიკი 8**).

4. წყარო: საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია.

გრაფიკი #8: ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაფინანსება 2013-2024 (მილიონი ლარი)



საერთო ჯამში, ქვეყანაში არსებული ელექტროგადამცემი ხაზებისა და სადგურების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის 2013-2024 წლებში დაახლოებით 884 მილიონი ლარი დაიხარჯა. აქედან, საქართველოს სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრებიდან მხოლოდ 106 650 მილიონი ლარი დაფინანსდა (12 %), ხოლო პროექტის ხარჯების 87 % საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებმა უზრუნველყვეს (იხ. **გრაფიკი #9**).



გრაფიკი #9: დასავლური გრანტებისა და კრედიტების თანაფარდობა სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარების პროექტში.

ამგვარად, სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარების პროექტი დაფინანსდა დასავლური საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ. ამ მიმართულებით, ძირითად დონორებს წარმოადგენდნენ: EU-NIF, KfW, EIB, EBRD, WB, EC, IBRD, ADB (იხ. **გრაფიკი #10**).

გრაფიკი #10:

დასავლური დონორების წილი სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარების პროექტში.



ახალი ენერგეტიკული ობიექტები რეგიონებში

რაც შეეხება უშუალოდ რეგიონებში არსებული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და ახალი ობიექტების მშენებლობას, ამ მიმართულებით დაფინანსების ძირითადი ნაწილი კვლავ საერთაშორისო ფინანსურმა ინსტიტუტებმა უზრუნველყვეს, მათ შორის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკმა. საერთო ჯამში, რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში გამოყოფილი ბიუჯეტის მხოლოდ 16.1 % დაფინანსდა საქართველოს სახელმწიფოს მიერ, ხოლო დანარჩენი 83.9 % საერთაშორისო დონორების მიერ (იხ. **გრაფიკი #11**) .



გრაფიკი #11:

რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტში დასავლური გრანტებისა და კრედიტების წილი (2013-2024 წლები).
(ათასი ლარი; % - ული წილი)

მთლიანობაში, რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების აღნიშნული პროგრამა, რომლის ჯამური ინვესტიცია შეადგენს 392 მილიონ ლარს, მოიცავს ისეთ ქვეპროექტებს, როგორებიცაა:

- წყალტუბო-ახალციხე-თორთუმი (დაფინანსდა ევროკავშირისა და KfW-ს მიერ);
- ჩრდილოეთის რგოლი (დაფინანსდა EBRD-ის მიერ);
- ნამახვანი-წყალტუბო-ლაჯანურის პროექტი (დაფინანსდა EBRD-სა და KfW-ს მიერ);
- ჯვარი-წყალტუბოს ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი (დაფინანსდა მსოფლიო ბანკის მიერ);
- გურიის ელექტროგადაცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (დაფინანსდა KfW-ის მიერ);
- კახეთის ინფრასტრუქტურის გაძლიერება (დაფინანსდა KfW-ს მიერ);
- ხელედულა-ლაჯანური-ონის პროექტი (დაფინანსდა KfW-ს მიერ).

სტრატეგიული ინფრასტრუქტურული პროექტები

ენგურჰესისა და ვარდნილჰესის რეაბილიტაცია

ენგურის ჰიდროელექტროსადგური წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის უმსხვილეს გენერაციულ ობიექტს. ენგურის სისტემა აშენდა 1961-1978 წლებში და მოიცავს როგორც ენგურჰესს, ასევე ვარდნილჰესების კასკადს. თავის მხრივ, ვარდნილჰესების კასკადი შედგება ოთხი ჰიდროელექტროსადგურისგან: ვარდნილჰესი 1, ვარდნილჰესი 2, ვარდნილჰესი 3, ვარდნილჰესი 4. 1990-იან წლებში, ვარდნილჰესების კასკადის სამი ჰიდროელექტროსადგური გაიძარცვა, რის შედეგადაც დღეს მხოლოდ ვარდნილჰესი 1 ფუნქციონირებს. დანარჩენი სამი ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციისთვის საჭირო რესურსი დაახლოებით 80-85 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ ენგურის ჰიდროელექტროსადგურების დაზიანებული სისტემის რეაბილიტაციისთვის, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები 1990-იანი წლებიდან უზრუნველყოფენ პრეფერენციულ სესხებსა (იხ. **გრაფიკი #12**) და გრანტებს (იხ. **გრაფიკი #13**). ენგურის სისტემის რეაბილიტაციის პროექტის დონორები არიან EU, EIB და EBRD.

#12 კრედიტები



#13 გრანტები



ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD):

ბანკმა 1998 წელს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პირველი ფაზისთვის 38.7 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი გამოყო.

2006 წელი, მეორე ფაზა: დამატებითი 10 მილიონი აშშ დოლარი;

2010 წელი, მესამე ფაზა: დამატებითი 20 მილიონი ევრო;

2023 წელი, მეოთხე ფაზა: პროექტის ამ ნაწილის საერთო ღირებულება იყო 45 მილიონი ევრო, რომლის ნაწილიც, 38 მილიონი ევროს ოდენობით კრედიტით, 2023 წელს, სწორედ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა დააფინანსა.

საერთო ჯამში, EBRD-მ ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციისთვის 205 მილიონი ევროს ღირებულების კრედიტი გამოყო.

ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB):

ვარდნილისა და ენგურის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში 2010 წელს გასცა 20 მილიონი ევრო.

2017 წელს კი, ბანკმა დამატებით 3.5 მილიონი ევრო გამოყო.

ევროკავშირი (EU):

1999 წელს, ევროკომისიამ ენგურის ელექტროსადგურის რეაბილიტაციისთვის 9.4 მილიონი ევროს ოდენობის გრანტი გამოყო.

2006 წელს, ევროკომისიამ დამატებით 2 მილიონი აშშ დოლარის გრანტი უზრუნველყო პროექტის მეორე ფაზისთვის.

ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ დაფინანსეული სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო პლატფორმამ (EU-NIP) უზრუნველყო 5 მილიონი ევროს ოდენობის გრანტი.

ბოლოს, 2023 წელს, EU-NIP გახდა EBRD-ის მიერ დაფინანსებული პროექტის თანადამფინანსებელი 7.05 მილიონი ევროს ოდენობის გრანტით.

გრაფიკი #14 ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EU, EBRD, EC); (მილიონი ლარი)



ამგვარად, ენგურჰესისა და ვარდნილჰესის სამშენებლო-სარეაბილიტაციო პროექტები მხოლოდ უცხოური გრანტებითა და კრედიტებით დაფინანსდა (იხ. **გრაფიკი #14**).

საერთო ჯამში, 2013-2024 წლებში, ენგურის სისტემის სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოების პროექტებისთვის გრანტის სახით გამოიყო 20 მილიონი ლარი, ხოლო კრედიტის სახით, 102 მილიონი ლარი.

შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტი

270 მილიონი ევროს ღირებულების შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტი განხორციელდა საერთაშორისო დონორების - EU-NIP, EBRD, EIB და KfW-ის დაფინანსებით. პროექტის მიზანი იყო საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის მდგრადობის გაუმჯობესება და საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ელექტროენერგიის გადაცემის ხელშეწყობა.

პროექტი 2013 წელს დასრულდა და მნიშვნელოვნად გაზარდა როგორც ქვეყნის შიდა ელექტროგადაცემის ქსელის სტაბილურობა, ისე ელექტროენერგიის ექსპორტის პოტე-

ნციალი. პროექტის განხორციელებამდე, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მხოლოდ ერთი ელექტროგადამცემი ხაზი (იმერეთი-ქართლი 2 - ქართლი 1) აკავშირებდა. შესაბამისად, ამ ხაზზე ნებისმიერი ავარია იწვევდა სისტემის სრულ გათიშვას აღმოსავლეთ საქართველოში და ელექტროენერგიის დეფიციტს. ასევე, ვინაიდან ელექტროენერგიის გენერაციის ძირითადი წყაროები ქვეყნის ჩრდილოეთში იყო განთავსებული, საქართველოს არ ჰქონდა შესაძლებლობა ელექტროენერგია სამხრეთ სამეზობლოში გაეტანა.



პროექტის ფარგლებში, გაიყვანეს რამდენიმე ელექტროგადამცემი ხაზი („ზეკარი“ - ზესტაფონიდან ახალციხემდე, „მესხეთი“ - ახალციხიდან თურქეთის საზღვრამდე, „ვარძია“ - გარდაბნიდან ახალციხემდე), აშენდა ქვესადგურები („ზესტაფონი“, „ახალციხე“, „გარდაბანი“) და მუდმივი დენის გარდამსახი სადგური. საქართველოსა და თურქეთის ელექტროსისტემები ერთმანეთს დაუკავშირდა, რაც ამჟამად საქართველოდან თურქეთში 700 მგვტ. სიმძლავრის ელექტროენერგიის გატანის შესაძლებლობას ქმნის.

შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი

შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი წარმოადგენს საერთაშორისო მნიშვნელობის ინიციატივას, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სამხრეთ კავკასიისა და ევროპის ელექტროენერგეტიკული სისტემების დაკავშირება წყალქვეშა გადამცემი ქსელის მეშვეობით. პროექტის მიზანია განახლებადი ენერგიის ექსპორტი სამხრეთ კავკასიიდან ევროკავშირის მიმართულებით 1,195 კმ-იანი წყალქვეშა კაბელით, რომელიც დააკავშირებს ანაკლიის (საქართველო) და კონსტანტას (რუმინეთი) პორტებს. პროექტის მონაწილე ქვეყნები არიან: აზერბაიჯანი, საქართველო, რუმინეთი და უნგრეთი.



ინიციატივის შესახებ პირველი შეთანხმება მხარეებმა 2022 წელს გააფორმეს, ხოლო 2024 წელს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც პროექტის განხორციელებისთვის შეიქმნება ერთობლივი კომპანია, Green Energy Corridor Power Company (იგივე GECO Power Company). პროექტის დასრულება დაგეგმილია 2029 წლისთვის.

პროექტს ევროკავშირის მხრიდან პოზიტიური შეფასება და შესაბამისი დაფინანსება მოჰყვა. ევროკომისიამ ამ ინიციატივისთვის გამოყო 2.5 მილიარდი ევრო, ხოლო მსოფლიო ბანკმა 2024 წელს პროექტის პირველი ფაზისთვის 35 მილიონი აშშ დოლარი ღირებულების კრედიტი დაამტკიცა. აღსანიშნავია, რომ პროექტის პირველი ფაზა სამეტაპიანია და ითვალისწინებს საქართველოს ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და ქვეყნის გადამცემი სისტემების გაძლიერებას.



პროექტის იდეას დადებითი გამოხმაურება მოჰყვა, ასევე, ევროკავშირის ოფიციალური წარმომადგენლების მხრიდან:

> „ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი არის ელექტროენერგიის შავი ზღვის კაბელი, რომელიც მწვანე ელექტროენერგიას მოიტანს საქართველოდან ევროპაში. იმედი მაქვს, ეს მყისიერად გამოიწვევს საქართველოში განახლებადი ენერგიის წყაროებში ინვესტიციებს, ჰიდრო, მზის და სხვა მიმართულებით და საქართველო გახდება სუფთა ენერგიის ექსპორტიორი“ (ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარი, ოლივერ ვარჰეი, 15/11/2022).
>
> „შავი ზღვის ელექტროენერგიის კაბელი ახალი გადამცემი ხაზი და შესაძლებლობებით სავსე მარშრუტია. მან შეიძლება, საქართველოს ინტეგრაცია უზრუნველყოს ჩვენს ენერგეტიკულ ბაზართან და ელე-ქტროენერგია მიაწოდოს ჩვენს მეზობლებს - დასავლეთ ბალკანეთს, მოლდოვასა და, რა თქმა უნდა, უკრაინას“ (ევროკომისიის პრეზიდენტი, ურსულა ფონ დერ ლაიენი, 17/12/2022).

საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის განვითარების პროექტი

საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის განვითარების პროექტი (ENIP) წარმოადგენს მასშტაბურ საინვესტიციო პროგრამას, რომლის ჯამური ინვესტიცია 270 მილიონ ევროს შეადგენს. პროექტი ხორციელდება დასავლური ფინანსური ინსტიტუტების KfW-ს, EBRD-ის და EU NIP-ის ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამა დაიწყო 2021 წელს და ითვალისწინებს ცალკეულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს იმერეთის, გურიის, რაჭის, სვანეთისა და კახეთის რეგიონებში.

ამდენად, 270 მილიონი ევროს ღირებულების პროგრამა, რომელიც საქართველოს რეგიონებში ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან სამშენებლო-სარეაბი-ლიტაციო სამუშაოებს მოიცავს, დასავლური ინსტიტუტების ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

> 2019 წელს, KfW-სა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმდა 100 მილიონი ევროს ღირებულების სასესხო ხელშეკრულება. საერთო ჯამში, KfW-მ, აღნიშნული პროგრამისთვის 120 მილიონი ევროს ოდენობის კრედიტი დაამტკიცა.
>
> 2019 წელს, EBRD-იმ ENIP-ისთვის გამოყო 90 მილიონი ევროს სესხი.
>
> KfW-სა და EBRD-ის პარალელურად, ამ პროგრამისთვის, ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო პლატფორმის ფარგლებში, საქართველომ დამატებით 9.9 მილიონი ევროს ოდენობის გრანტი მიიღო.

ENIP მოიცავს ოთხ ქვეპროექტს:

1. წყალტუბო-ახალციხის თორთუმის ქსელთან მიერთების პროექტი

პროექტი 2022 წელს დაიწყო და ხორციელდება KfW-სა და EU-NIF-ის ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამის ჯამური ინვესტიცია წარმოადგენს 62 მილიონ ევროს.

პროექტის ელემენტები:

P.9.1 400 კვ ეგხ ახალციხე-თორთუმი, სიგრძე 150 კმ (საზღვრამდე 33 კმ), გამტარუნარიანობა 1850 მგვტ;
P.9.2 500 კვ ქ/ს "ახალციხის" გაფართოება 400 კვ ეგხ ახალციხე-თორთუმის მისაერთებლად და უჯრედის მოწყობა;
P.9.3 მუდმივი დენის ჩანართის 500/400 კვ 350 მგვტ ბლოკი ქ/ს „ახალციხეში".

პროექტი ითვალისწინებს წყალტუბო-ახალციხის ელექტროგადამცემი ხაზისა და საქართველო-თურქეთის ენერგოსისტემის დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას. პროექტის მიზანია საქართველოს ელექტროენერგეტიკული კავშირის გაძლიერება როგორც თურქეთთან, ისე ევროპასთან.

2. ჩრდილოეთის რგოლი, ნამახვანი-წყალტუბო-ლაჯანურის პროექტი

სისტემური მნიშვნელობის პროექტის, ჩრდილოეთის რგოლის ჯამური ინვესტიცია დაახლოებით 144 მილიონ ევროს შეადგენს. პროექტი ხორციელდება EBRD-სა და KfW-ის ფინანსური მხარდაჭერით და მისი დასრულება იგეგმება 2028 წლისთვის.

პროექტის ელემენტები:

P.7.1 ახალი 220/110 კვ ქვესადგური „ლაჯანური" 250 მგვა;
P.7.2 500 კვ ეგხ ლაჯანური-წყალტუბო, სიგრძე 49 კმ;
P.7.3 ერთჯაჭვა 220 კვ ეგხ ქ/ს ლაჯანური-ლაჯანურჰესი, სიგრძე 4 კმ;
P.7.4 ეგხ ონი-ლაჯანური, სიგრძე 55 კმ;
P.7.5 500/220კვ ქ/ს „ნენსკრა", 2x501 მგვა;
P.7.6 500 კვ ეგხ „კავკასიონის" შეჭრა ქვესადგურ "ნენსკრაში" 2 კმ;
P.7.7 ორჯაჭვა 220 კვ კავშირი ნენსკრაჰესი-ქ/ს ნენსკრა, სიგრძე 1 კმ;
P.7.8 ორჯაჭვა 220 კვ ეგხ ხელედულა-ლაჯანური, სიგრძე 45 კმ;
P.7.9 ქ/ს ლაჯანური 220/110-ის გაფართოება 500 კვ ფრთით, 801 მგვა;
P.7.10 ერთჯაჭვა 500 კვ ეგხ ნენსკრა-ჯვარი, სიგრძე 47 კმ;
P.7.11 500 კვ ქ/ს ჯვარის გაფართოება 500 კვ ეგხ ჯვარი-ნენსკრას მისაერთებლად
P.7.12 ორჯაჭვა 220 კვ ეგხ ნენსკრა-მესტია, სიგრძე 57 კმ;
P.7.13 500 კვ ეგხ-ის „ნენსკრა-ჯვარი" შეჭრა ხუდონჰესში.

პროექტის მიზანია რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში არსებული ჰესებიდან (მესტიის რეგიონის ჰესები, ნენსკრაჰესი, ხუდონჰესი, ცხენისწყლის კასკადის ჰესები, ხელედულა ჰესი, ონის ჰესები, რაჭის ჰესები) მიღებული ელექტროენერგიის ინტეგრაცია ქსელში.

3. გურიის რეგიონში ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის გაძლიერების პროექტი

პროექტის ელემენტები:

P.8.1 ქვესადგური ოზურგეთი 220/110 კვ, დადგმული სიმძლავრე 250 მგვა, გაზრდის პერსპექტივით;

P.8.2 220 კვ ელექტროგადაცემის ხაზის „პალიასტომი-1“ შეჭრა ქ/ს „ოზურგეთში“;
P.8.3 ორჯაჭვა 110 კვ ეგხ ოზურგეთი-ზოტიჰესი 47 კმ, გამტარუნარიანობა 2x110 მგვტ;



გრაფიკი #15:
გურიის ელექტროგადაცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება

პროექტის მიზანია გურიის რეგიონის პერსპექტიული ჰესების ქსელში ინტეგრირება და გურია-ბათუმის რეგიონების საიმედოობის ამაღლება. პროექტი ხორციელდება KfW-სა და EU-NIP-ის ფინანსური მხარდაჭერით (იხ. **გრაფიკი #15**).

4. კახეთის რეგიონში ინფრასტრუქტურის გაძლიერება

სისტემური მნიშვნელობის პროექტი ხორციელდება KfW-ის მხარდაჭერით და ითვალისწინებს კახეთის რეგიონის პერსპექტიული ჰესების ქსელში ინტეგრირებასა და კახეთი-დუშეთის რეგიონების კვების საიმედოობის ამაღლებას.

პროექტის ელემენტები:

P.14.1 220/110/10 კვ ახალი თელავის ქ/ს მშენებლობა;
P.14.2 ერთჯაჭვა 110 კვ ეგხ სტორი ჰესი - ახალი თელავის მშენებლობა, სიგრძე 41.5 კმ;
P.14.3 ორჯაჭვა 110/220 კვ ეგხ, გურჯაანი - ახალი თელავი, , 44.2 კმ;
P.14.4 ერთჯაჭვა 110 კვ ეგხ, ახალი თელავი - ახმეტა, 220 კვ გაბარიტებში, 30.5 კმ; 220/110 კვ
P.14.5 ქ/ს გურჯაანის რეაბილიტაცია;
P.14.6 ქ/ს ახმეტა 110-ის რეკონსტრუქცია;
P.14.7 35 კვ ქსელის მშენებლობა/რეაბილიტაცია თუშეთის მიმართულებით, სიგრძე 55 კმ;
P.14.8 ერთჯაჭვა 220 კვ ეგხ ახალი თელავი - ჟინვალი, სიგრძე 62.6 კმ
P.14.9 220/110 კვ ახალი ქვესადგური ჟინვალში.

დასკვნა

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ენერგეტიკის განვითარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს დასავლურმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა, განსაკუთრებით კი, **ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკმა.**

ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოს ენერგეტიკული სექტორის მიმართ ასოცირების შეთანხმებაშიც აისახა, სადაც თანამშრომლობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას სწორედ ენერგეტიკის სექტორი წარმოადგენს. 2017 წლიდან საქართველო ენერგეტიკული გაერთიანების წევრია, პლატფორმის, რომელიც ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის თანამშრომლობას უწყობს ხელს ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფისთვის. შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკის სექტორში დასავლური ფინანსური ინსტიტუტების სტრატეგიული როლის გათვალისწინებით, „ქართული ოცნების" ანტიევროპული საგარეო კურსი ენერგეტიკის სექტორს მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე აყენებს.

ენერგეტიკის სექტორზე „ოცნების" საგარეო პოლიტიკის გრძელვადიანი ზემოქმედების ანალიზის შედეგად, თომას ედისონის სახელობის ელექტროენერგეტიკის საზოგადოებრივი ცენტრი, რომელიც ინდუსტრიაში დასაქმებული სპეციალისტების გამაერთიანებელ არაკომერციულ ორგანიზაციას წარმოადგენს, 2024 წლის დეკემბრის ვრცელ განცხადებაში მიუთითებს:

> **საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორი არ არის მზად ნორმალური ფუნქციონირებისთვის დასავლელი პარტნიორების გარეშე. ასეთ შემთხვევაში, იგი განწირულია 90-იანი წლების მსგავსი კოლაფსის, ან რუსეთის სისტემის მიერ „ჩაყლაპვისთვის".**